სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

სკოლის მისია: თითოეული ბავშვის შემოქმედებითი პოტენციალის, უნიკალური ნიჭის აღმოჩენა და მათი წარმატებული პიროვნული, ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, სოციალური, ემოციური და ფიზიკური განვითარების უზრუნველყოფა.

სკოლის ხედვა: სკოლაში ჩამოყალიბებულია ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე, საზოგადოებას სთავაზობს ციფრული ეპოქის მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამის განათლებას.

სკოლის ღირებულებები:

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება - თითოეულ მოსწავლე ინდივიდუალურია თავისი განვითარების პროცესში, ჩვენ ვეხმარებით თითოეულ მათგანს აღმოაჩინონ წარმატების მიღწევის საკუთარი გზა, მუდმივად აიმაღლოს პიროვნული მიღწევების თამასა, ისწავლონ სირთულეების დაძლევა, აიმაღლონ თვითშეფასება, გახდნენ თავდაჯერებულნი.

ყოველი მოსწავლე წარმატებულია - ყველა ბავშვი ნიჭიერია, ჩვენი ვალდებულებაა, დავეხმაროთ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენაში, შევთავაზოთ საქმიანობის სხვადასხვა სფეროები, რათა გამოსცადონ საკუთარი თავი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მოსწავლემ იგრძნოს საკუთარი თავი წარმატებულად, მნიშვნელოვნად, ღირებულად.

პატივისცემა - საკუთარი თავისა და სხვების პატივისცემა; განსახვავებული თვალსაზრისებისა და რწმენების მიღება; ნდობა, ემფატია და ტოლერანტობა - ეს არის თბილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობების აგების საფუძველი ჩვენს სასკოლო გარემოში.

პატიოსნება - ეს ჩვენი სკოლის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია. სკოლაში მიღებული წესების შესრულება და დანაშაულის აღიარება, გულწრფელობა ყველა ქმედებასა და გადაწყვეტილებების მიღებისას - ნიშნავს პატიოსნებას, რაც ნდობის საფუძველია.

პასუხისმგებლობა - ჩვენ ვასწავლით ჩვენს აღსაზრდელებს, პასუხი აგონ საკუთარ არჩევანზე, წარმატებაზე, საკუთარ სიცოცხლეზე. იყო პასუხისმგებლობიანი, ნიშნავს საკუთარი თიოეული ნაბიჯისა და აქტივობის მნიშვნელობის აღიარებას და მორალური პასუხისმგებლობის აღებას შედეგებზე.

თანამშრომლობა - სკოლაში შექმნილია თანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, პარტნიორობის გარემო. მოსწავლეებს ვუვითარებთ უნარებს, ურთიერთობები დაამყარონ მეგბრობისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე, ვასწავლით, პატივისცემა გამოხატონ სხვათა წარმატების მიმართ, აღიარონ და დააფასონ სხვების მიღწევები.